განკარგულება:**გ-81. 81252392**
თარიღი:**27/08/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №45

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ლუხვანოში მდებარე 900.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.01.23.176) კერძო მესაკუთრისაგან შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 111-ე მუხლის ,,ბ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №004930825 შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. ცაგერის მუნიციპალიტეტმა შეისყიდოს მიწის ნაკვეთი, კერძო მესაკუთრისაგან, რომელიც მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ლუხვანოში, 900 (ცხრაასი) კვადრატული მეტრი ფართობი, 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ღირებულებით.

მუხლი 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილ იქნეს განახორციელოს ყველა საჭირო სამართლებრივი და ორგანიზაციული ქმედება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვისა და საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესთან.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი